

როგორ გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა თანამშრომლობა

ნინო ძაბახიძე
ლია იასალაშვილი
ნინო გიუნაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა : განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი არის ორიგინალური ვერსია და გამოყენებული ლიტერატურული მასალები დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით.

25. 06. 2017

მადლობა:

მადლობას ვუხდით თბილისის 182-საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ ეკა თაბუაშვილს, კვლევაში ჩართულ პედაგოგებს და განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ამავე სკოლის პედაგოგს ქალბატონ ნანა ნათიძეს მხარდაჭერისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს ნათია ანდლულაძეს.

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს თემაზე „როგორ გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა თანამშრომლობა“. პრაქტიკული კვლევის მიზანი იყო პრაქტიკის კვლევების საშუალებით თანამშრომლობითი კულტურის გაუმჯობესება თბილისის 182-ე საჯარო სკოლის მაგალითზე. პრაქტიკული კვლევა ჩატარდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ.

კვლევის საწყის ეტაპზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება, შესაბამისად დაიგეგმა ინტერვენციები. ინტენსიური მუშაობა სკოლაში მიმდინარეობდა 2017 წლის 18 იანვრიდან 19 ივნისის ჩათვლით.

ინტერვენციები განხორციელდა სხვადასხვა საგნის მასწავლებლების ჯგუფთან. მასწავლებლები დაჯგუფდნენ საერთო საკვლევი საკითხის ირგვლივ და შედეგად ჩამოყალიბდა ოთხი ჯგუფი. ინტერვენციების განხორციელების შედეგად გაუმჯობესდა მასწავლებელთა თანამშრომლობა, მათ შეიძინეს პრაქტიკის კვლევის დაგეგმვის, განხორციელების უნარ-ჩვევები და დაინახეს მასწავლებელთა პროფესიული თვალსაზრისით თანამშრომლობის აუცილებლობა.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია საინტერესო იქნება როგორც თბილისის 182-ე საჯარო სკოლისათვის, ასევე სხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის და პრაქტიკის კვლევით დაინტერესებული პირებისათვის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: პრაქტიკის კვლევა; თანამშრომლობის გაუმჯობესება.

Abstract

This work represents a research report on “How to Improve Teachers’ Cooperation”. The practical research was aimed at improvement of co-operative culture through practice studies on the example of Tbilisi Public School N 182. The practical research was conducted by the students of Masters of Educational Administration.

At the initial stage of the research, the problem was identified and the interventions were planned. The intensive work at school took place from January 18 to June 19, 2017.

The interventions were conducted with a group of teachers of different subjects. The teachers were grouped around the general study topic and as a result, four groups were formed. Implementation of the interventions improved teachers’ cooperation. They acquired practical research planning, implementation skills and saw the necessity of teacher cooperation in teachers’ professional terms.

The information received as a result of the research will be interesting for both: Tbilisi Public School N182, as well as for other educational organizations and individuals interested in practical research.

Keywords: practical research; improved cooperation.